PDF Eraser Free

დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა (პროექტი) **სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი

წევრები:

იაზონ დანელია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე:

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

■ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

<u>ივსება მხოლოდ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების დროს:</u>

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ დისტანციური ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდა ***სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 30 მარტის № 304182 ბრძანების საფუძველზე.*** წარმოების მიზანს შეადგენდა, სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საშუალო ***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის*** „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, ***საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ა) და ბ.ბ) კომპონენტებთან შესაბამისობის შემოწმება.***

ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე დამატებით გამოთხოვილი, პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და ვებ-გვერდზე განთავსებული მასალა. კოლეჯმა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა 2018 წლის სექტემბერში (გადაწყვეტილება 134. 06.09.2018), მიმდინარე წარმოება ეხება ამ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებას.

დისტანციური ადმინსიტრაციული წარმოება და დაწესებულების პერსონალთან გასაუბრება შედგა 2021 წლის 13 აპრილს, ZOOM პლატფორმის გამოყენებით, ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინსტრაციასთან წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

ექსპერტების მიერ დაწესებულების ადმინისტრაციასა და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან განიხილული იქნა შემდეგი საკითხები: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ორგანიზების თავისებურებები, რესურსები, განმახორციელებელ პირთა კვალიფიკაცია და შესაბამისი კომპეტენციები. დათვალიერებული იქნა პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი სივრცეები/აუდიტორიები, კომპიუტერული და ინტეგრირებული მოდულებისთვის ლაბორატორიები შესაბამისი აღჭურვილობით, ბიბლიოთეკა და საბიბლიოთეკო/სასწავლო რესურსი. შეხვედრის დასასრულს, შესწავლილი დოკუმენტაციისა და განხილული საკითხების საფუძველზე, ექსპერტების მიერ აქცენტები გაკეთდა ძირითად მიგნებებზე და გაცემული იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული ორიენტაციისა და განათლების პოპულარიზაციის მიზნით. დაწესებულებას შექმნილი აქვს ელექტრონული პლატფორმა „სტუმრად კოლეჯში“, სადაც ნებისმიერ დროს, დაინტერესებულ სკოლას შესაძლებლობა აქვს გაეცნოს სასწავლო პროგრამებს, გაიაროს ელექტრონულად რეგისტრაცია ვიზიტზე (პროფორიენტაციის ღონისძიებაზე), რომლის მიზანია ერთი მხრივ, პროფესიული განათლებისა და კოლეჯის გაცნობა, მეორე მხრივ მოსწავლეებისთვის სხვადასხვა პროფესიაში საკუთარი ძალების შესაძლებლობების მოსინჯვა-შეთავაზება.

ამავე მიზნით დაწესებულება აქტიურად არის ჩართული. სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებში, როგორც პროფესიული მომზადების-გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი, ასევე თანამშრომლობს ადგილობრივ, უცხოურ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისი პროგრამების შემუშავებისთვის. ერთ-ერთი ასეთი განხორციელებული პროექტია, პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ინიციატივით, ტალინის ეკონომიკური სკოლასა და შპს „ჯინჯერთან“ ერთობლივად შემუშავებული პროფესიული მომზადების პროგრამა „სოციალური მედიის მართვა“. GIZ-თან თანამშრომლობით სხვადასხვა პროფესიული მომზადების-გადამზადების პროგრამები.

პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, დაწესებულებას ვებ-გვერდზე აქვს ასევე რუბრიკა - „გაიცანით პროფესიონალი“, სადაც განთავსებულია, კოლეჯის სხვადასხვა ასაკის კურსდამთავრებულთა წარმატების ისტორიები (https://www.profgldani.ge/graduate.php).

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

დაწესებულებაში, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტთა ბოლო ვიზიტი, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამების („ინდუსტრიული დიზაინის შესრულება", "გრაფიკული დიზაინის შესრულება") მონიტორინგს, განხორციელდა 2020 წლის 4 ნოემბერს. ვიზიტი განხორციელდა პსდ ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობისა (30.07.2020 ოქმი №648539) და სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 21 ოქტომბრის N1017040 ბრძანების საფუძველზე. მონიტორინგის მიზანს შეადგენდა საგანმანათლებლო პროგრამების რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
კომპონენტის შესრულების შემოწმება. ექსპერტთა დასკვნით, დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა როგორც **„სრული შესაბამისობა“.** ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა რეკომენდაცია საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ამსახველი დოკუმენტის შემუშავების შესახებ. დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდია. საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის შესახებ ინფორმაცია ასახულია სასწავლო გეგმაში. თუმცა, დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, პერსონალის დატვირთვის აღრიცხვა განხორციელდება „სამუშაო დროის აღრიცხვის“ უნიფიცირებული ფორმის შესაბამისად.

VIII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

IX .სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

X. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

კრიტერიუმი 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი (ინდიკატორი 2.2.1)

რეკომენდირებულია დაწესებულების მენეჯმენტმა უზრუნველყოს საქმიანობის დაგეგმვისას რისკების შეფასება და რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება.

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მოდულების მატერიალური რესურსი/სასწავლო გარემო არ მოიცავს სველ წერტილს და ამწოვ სისტემას, პროფესიული სტუდენტების და პერსონალის უსაფრთხოების, ასევე სასწავლო ექსპერიმენტების/რეაქციების უსაფრთხოდ განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიაში, მოეწყოს სველი წერტილი და ამწოვი კარადა/ ინდივიდუალური სავენტილაციო/გამწოვი სისტემის მონტაჟი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	**N 42, 11.05. 2018 წ. ბოლო ცვლილება: N40, 12.03.2021**
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	**თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44**
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	**40 პროფესიული სტუდენტი - თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44**
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	**20 პროფესიული სტუდენტი - თბილისი, ილია ვეკუას ქ. N44**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

XIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	შეესაბამება	შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	შეესაბამება	შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება		
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამას „კომპიუტერული ქსელისა და სისტემების“ ახორციელებს 2018 წლიდან (პსდ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება №134), ხოლო 2020 წელს გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 40

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
სტუდენტამდე. გარდა ამისა დაწესებულება 2012 წლიდან დღემდე, მუდმივად ახორციელებდა ამ მიმართულების სხვადასხვა პროფესიულ პროგრამებსა და ტრენინგ-კურსებს.

პროგრამის აქტუალობის დასაბუთების დოკუმენტში დაწესებულება ეყრდნობა, როგორც საკუთარ მრავალწლიან გამოცდილებას, ასევე შრომის ბაზრის სხვადასხვა კვლევებს, მათ შორის საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 იანვრის №16 დადგენილება „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და პროგრამისთვის განსაზღვრული პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა შორის არის აღნიშნული პროგრამაც. ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კვლევა, ყველაზე დასაქმებადი პროფესიები.

დაწესებულებას ასევე წარმოადგენილი აქვს 2013-2020 წლების „კომპიუტერული ქსელები და სისტემის ტექნიკოსის“ (მეოთხე საფეხური) საგნობრივ და „კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის“ (მეხუთე საფეხური) მოდულურ პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვისა და დასაქმების სტატისტიკა. ამ წლების განმავლობაში, სულ პროგრამებზე ჩაირიცხა 203 პირი, აქედან აქტიური სტატუსი აქვს 25 პირს, ხოლო პროგრამა დაასრულა 95 პირმა. დაწესებულების ინფორმაციით, დასაქმებულია 57 კურსდამთავრებული (≈53%).

ამასთან, დაწესებულების მისიას წარმოადგენს ***„თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის/მსმენელისთვის ხელმისაწვდომი, სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლებით უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით“***, ხოლო, *სტრატეგიული გეგმის (2018-2025) მიზანია* ***„შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შემუშავებული მოდულური პროგრამების, მათ შორის, სამუშაოზე დაფუძნებული, ინტეგრირებული მიდგომის სწავლების დანერგვა/პილოტირება“.*** *გამომდინარე აქედან,* დაწესებულების გადაწყვეტილება, პროგრამის განხორციელების შესახებ, შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრულ ზოგადი განათლება, ხოლო ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრირების შემთხვევაში - საბაზო განათლება, რაც შესაბამისობაშია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის მოთხოვნებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების საერთო რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის შეადგენს **148-ს,** პროგრამის ხანგრძლივობა - **118 სასწავლო კვირა (29,5 თვე).** არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - **178 კრედიტს,** ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - **140 სასწავლო კვირას (35 თვე).**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3.დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს, დირექტორის 2018 წლის 02 მაისის №34 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა მეთოდოლოგიის მიხედვით ითვალისწინებს ისეთ გარემოებებს როგორიცა: ა) პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა; ბ) რეესტრის მონაცემების შესაბამისად პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი (აქტიური სტატუსის მქონე, მათ შორის, სტატუსშეჩერებული) და შესაბამისი წლის დამამთავრებელთა რაოდენობა; გ) სასწავლო გარემო; დ) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზი; ე) შრომის ბაზარი და დამსაქმებლების მოთხოვნები; ვ) პროგრამის ხანგრძლივობა; ზ) პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი; თ) პარტნიორი კომპანიები

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები “, შემავალი ზოგადი, ინტეგრირებული და პროფესიული მოდულების სწავლება მიმდინარეობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის მატრიალურ-ტექნიკური რესურსით სათანადოდ აღჭურვილ აუდიტორიებში: №13, №15, №17 (ლაბორატორია), №18, თითოეულში 20 სამუშაო ადგილით. გარდა ამისა, დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განხორციელების ფარგლებში გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორ კომპანიებთან: შპს „ინთეგრითი“(მემორანდუმი №461, 4 პროფესიული სტუდენტი), შპს ევროპის უნივერსიტეტი (მემორანდუმი №462, 20 პროფესიული სტუდენტი), შპს „აიტიკრაფტი“ (მემორანდუმი №463, 10 პროფესიული სტუდენტი), შპს „სოფთმასტერი“ (მემორანდუმი №464, 5 პროფესიული სტუდენტი), პს „POS.GE“ (მემორანდუმი №465, 5პროფესიული სტუდენტი). ***პრაქტიკის ობიექტები საერთო ჯამში უზრუნველყოფს 44 პროფესიული სტუდენტის მიღებას.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შესაბამისად, დაწესებულებას, მეთოდოლოგიისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისიწნებით, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ადგილების რაოდენობა ***განსაზღვრული აქვს 40 ადგილით:***

- ***20 ადგილი ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის;***
- ***20 ადგილი - ინტეგრირების გარეშე.***

4. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსით უზრუნველყოფა შეფასდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ ინფრასტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას პროფესიულმა სტუდენტებმა ისარგებლონ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური, საგანმანათლებლო რესურსებითა და სერვისებით. დაწესებულებას, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელბისთვის აუცილებელი რესურსი მფლობელობაში აქვს, გამომდინარე იქედან , რომ პროგრამას ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ახორციელებს 2018 წლიდან.

მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი გადამოწმდა დარგის ექსპერტის მიერ, მითითებული რესურსი, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისია. დაწესებულების მფლობელობაშია დარგობრივი ლაბორატორია **CISCO აღჭურვილობით, სათანადო რაოდენობის კომპიუტერებით (სულ: 25 ერთეული),** ხოლო დისტანციური სწავლების რეჟიმში იყენებს **CISCO სასწავლო პორტალს.** ინტეგრირებული მოდულების სწავლებისთვის მფლობელობაშია შესაბამისი აღჭურვილობა, მოდელები და მულაჟები.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული მატერიალურ-ტექნიკური და საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებო პროგრამას არჩევითი მოდული არ აქვს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ დირექტორის 2018 წლის 11 მაისის №42 ბრძანებით, ბოლო ცვლილება განხორციელებულია დირექტორის 2021 წლის 12 მარტის №40 ბრძანებით.

დაწესებულების დირექტორის აღნიშნული უფლებამოსილება, განსაზღვრულია სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიით“ (მე-4 მუხლი, პუნქტი 7, 18.02.2020 წ.)

7. საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება იდენტურია ჩარჩო დოკუმენტის „ინფორმაციული ტექნოლოგიები“ (სარეგისტრაციო ნომერი 06112-პ) კონცენტრაციისა, შესაბამისად არ არის შეცდომაში შემყვანი და შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8. საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებული და დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის №28 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. პროგრამის დამატებისა და მისი მიზანშეწონილობის მიზნით შექმნილი კომისიის შუამდგომლობის საფუძველზე, პროგრამის დამატებაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი და გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს. კომისიის შემადგენლობაში შედიან: დაწესებულების ხარისხის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროცესზე მონიტორინგის სპეციალისტი, პროფოორიენტაციის კარერული დაგეგმვის მენეჯერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, იურისტი, პროგრამის ხელმძღვანელი და მიმართულების პროფესიული განათლების მასწავლებლები.

საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, შემუშავებულია „ინფორმაციის ტექნოლოგიის“ ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებით, დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სტრუქტურა, მოდულები. პროგრამის მოცულობა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისას (არაინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 90 კრედიტი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 120 კრედიტი; ინტეგრირებული სწავლებისას ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 148 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 178 კრედიტი);

პროგრამის დაგეგმვა და ხანგრძლივობა შესაბამისია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს ბრძანების N170/ნ „საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ “ მოთხოვნების გათვალისწინებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია მოდულური მიდგომით განსახორციელებელი პროგრამის ძირითადი დოკუმენტი, მოდულები (ზოგადი, ინტეგრირებული, საერთო დარგობრივი, პროფესიული, ქართული ენა A2, ქართული ენა B1), სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლებისთვის ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენენტებისთვის), ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ. სასწავლო გეგმებში დაცულია წინაპირობები და განმეორებითი შეფასების ვადები. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ აღემატება 40 საათს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სტრატეგიული გეგმა (2018-2025)
2. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ცენტრის“ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განხორციელების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია“
3. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის ბრძანება №25 „სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2018 წლის 2 მაისის №34 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“
4. კონტინგენტის განსაზღვრა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (მე-4 დონე), რომელიშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე „ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (რომელიშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგები) დამატების მიზნით შექმნილი მიზანშეწონილობის კომისიის 2021 წლი 25 თებერვლის სხდომის ოქმი №10 ;
6. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2021 წლი 12 მარტის ბრძანება №40 „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2018 წლის 11 მაისის №42 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“
7. სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (რომელიშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საფეხურის სწავლის შედეგები)
8. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
9. დაწესებულების ვებგვერდი https://www.profgldani.ge/
10. დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, წინასწარ იქნა შესწავლილი დაწესებულების მიერ განაცხადზე თანდართული და დამატებით გადმოგზავნილი მატერიალური ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტები. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, რესურსი შეფასდა პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯს აქვს პროგრამის განხორციელების უფლება და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული აქვს - 40 პროფესიული სტუდენტი. განსაზღვრული კვოტიდან მოთხოვნილია 20 პროფესიული სტუდენტი პროგრამაზე, რომელიშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, ფოტო მასალა) დასტურდება დაწესებულების მფლობელობაში, მოთხოვნილი კვოტის შესაბამისი, რესურსის არსებობა.

პროგრამის განხორციელების მიზნებისთვის, დაწესებულებას გამოყოფილი აქვს: 23 ცალი ლეპტოპი Lenovo (21 ც. პროფესიული სტუდენტისთვის, ტექნიკური მონაცემებით: z50-75 amd a 10-7300 radeon r6, 10 compute cores 4c+6g 1,90GHC RAM 4,00GB და 2 ცალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
ტექნიკური მონაცემებით: B570 intel celeron b800, 1,5ghz Ram 2GB, HDD 320GB), 2 კომპიუტერი (სრული კომპლექტი ტექნიკური მონაცემებით: (core ™ i3-4150 CPU@3,5GHZ, RAM 4,00 GB), შესაბამისი პერიფერიული (პრინტერი) და სადემონსტრაციო (პროექტორი, ეკრანი) მოწყობილობებით აღჭურვილი სასწავლო სივრცეები. პროფესიული სტუდენტისთვის 21 სამუშაო ადგილი/მაგიდა, CISCO-ს აპარატურა, სამუშაო ინსტრუმენტები და აქსესუარები (მე-13 აუდიტორია A-B გარემო). ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო აღჭურვილობა და სასწავლო რესურსი/მოდელები.

დისტანციური ჩართვისას ექსპერტების მიერ განხორციელდა დაწესებულების ინფრასტრუქტურის, მატერიალურ რესუსრის გაცნობა-დათვალიერება. გადამოწმდა სასწავლო აუდიტორიებსა და ლაბორატორიებში არსებული რესურსი. დაწესებულებას, კვოტის განსაზღვრის დოკუმენტში პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს აუდიტორიები (№13, №15, №17, №18) მათ შორის ლაბორატორიები დარგობრივი მოდულებისა (ე.წ. „CISCO-ლაბორატორია“) და ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ (0580000) სწავლებისათვის. სწავლების განხორციელება დაგეგმილია ერთ ცვლაში. ინტეგრირებული მოდულების ჩანაწერებში მითითებულია შემდეგი აუდიტორიები: №8, №11, №18ა, №17. მოდულების სწავლებისთვის გათვალისწინებულია ასევე დისტანციური სწავლების მეთოდიც.

ინტეგრირებული მოდული „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სწავლებისას მოიაზრება ქიმიის სწავლება. მოდულისთვის განკუთვნილ სასწავლო სივრცეში არ არის მოწყობილი *სველი წერტილი* და *ინდივიდუალური, ცალკე გამწოვი სისტემა. აღსანიშნია ის გარემოებაც, რომ სველ წერტილსა და გამწოვ სისტემას არ მოიცავს მოდულის მატერიალური რესურსის ჩამონათვალიც.*

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მართვისთვის სრული პაკეტი, მათ შორის რისკების მართვის პოლიტიკა, რაც შეიძლება განხილულიყო, როგორც საუკეთესო პრაქტიკა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ განხორცილებულა რისკების სრულყოფილად შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებული მოდულების მატერიალური რესურსი/სასწავლო გარემო არ მოიცავს სველ წერტილსა და ამწოვ სისტემას, ქიმიის სწავლებისთვის (ე.წ. ინტეგრირებული მოდულების ლაბორატორიისთვის) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე სველი წერტილი (ონკანი, ნიჟარა, რეაქტივების/ხსნარების უტილზაციისთვის), ამწოვი კარადა ან ინდივიდუალური გამწოვი სისტემის მონტაჟი, რეაქციების უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით.

დაწესებულების მენეჯმენტმა და შესაბამისმა სპეციალისტებმა (მოდულის/კომპონენტის განმახორციელებელი პერსონალი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი) უზრუნველყონ საქმიანობის დაგეგმვისას რისკზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტების მიერ განხილული იქნა ასევე პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები. პრაქტიკის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას მემორანდუმი აქვს გაფორმებული 5 ობიექტთან, რომლებიც საერთო ჯამში უზრუნველყოფენ 44 პროფესიული სტუდენტის მიღებას, კონკრეტულად: 1. შპს „ინთეგრითი“ - 4 პროფესიული სტუდენტი (მემორანდუმი №461); 2. შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ - 20 პროფესიული სტუდენტი (მემორანდუმი №462); 3. შპს „აიტიკრაფტი“ - 10 პროფესიული სტუდენტი (მემორანდუმი №463) 4. შპს „სოფთმასტერი“ - 5 პროფესიული სტუდენტი (მემორანდუმი №464), 5. შპს „POS.GE“ - 5პროფესიული სტუდენტი (მემორანდუმი №465).

ექსპერტების მიერ ასევე განხორციელდა გასაუბრება პრაქტიკის ერთ-ერთი ობიექტის, კერძოდ შპს „ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის“ წარმოამდგენელთან, რომელიც პროგრამის ფარგლებში კოორდინირებას უწევს ობიექტზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან გასაუბრებისას დადასტურდა მათი მზაობა, ასევე პროფესიული პროგრამის განხორციელებისა და შეფასების თავისებურებების ცოდნა. უნივერსიტეტს მფლობელობაში აქვს მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსი, კამპუსი, დამხმარე ობიექტები, აღჭურვილი შესაბამისი იტ ინფრსატრუქტურით და ქსელით. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელბას/სწავლის შედგების მიღწევას.

პორიგრამისა და ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისა და შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ასევე დაწესებულების მიერ დაგეგმილი განხორციელების მიდგომებიც. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასწავლო გეგმის მიხედვით, ინტეგრირებული მოდულების სწავლებისას დატვირთვა კვირაში საშუალოდ 10-12 საათია, მათ შორის „მეცნიერება და ტექნოლოგიებისთვის“ დათმობილია 5 საათი. ამ ეტაპისთვის დაწესებულება ახორციელებს სამ საგანმანათლებლო პროფესიულ პროგრამას, რომელიშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (გრაფიკული დიზაინის შესრულება/Graphic Design Performance 02122-პ (პროფესიული სტუდენტის კვოტა 40, მათ შორის ინტეგრირებულისთვის - 20), ვებტექნოლოგიები/Web Technology 06114-ს (პროფესიული სტუდენტის კვოტა 40, მათ შორის ინტეგრირებულისთვის - 20) ,,აზომვითი-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება/Survey-Topography 07319-პ (პროფესიული სტუდენტის კვოტა 40, მათ შორის ინტეგრირებულისთვის - 20)).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროგრამის ფარგლებში, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დოკუმენტაციით (შესყიდვის დოკუმენტაცია, მიღება-ჩაბარების აქტები, ფოტო-მასალა), ასევე ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის მის მფლობელობაში არსებობა და სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველყოფა.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია:

- ზოგადი მოდულების განმახორციელებელი 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი;
- ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი - 18 პროფესიულ განათლების მასწავლებელი;
- პროფესიული მოდულების განმახორციელებელი ჩართულია 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი;

კოლეჯს საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება აქვს დადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, მათ შორის, CISCO-ს საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორთან. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები, მათი საათობრივი დატვირთვა, რაც არ აღემატება 40 საათს. გარდა სალექციო დროისა, დატვირთვა მოიაზრებს კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შედგენას, პროფესიული სტუდენტების კონსულტირება-შეფასებას და სხვა. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის #107 ბრძანებით „სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე“. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შერჩეულია დაწესებულების მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
შერჩეული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეებით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმრავლესობას აქვს პედაგოგური გამოცდილება ან/და განათლება. პროფესიული პროგრამის მასწავლებლებს, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებელ პირებს, გავლილი აქვთ მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების შესახებ ტრენინგები. მასწავლებელთა კომპეტენციის შესაბამისი დოკუმენტები წარმოდგენილია პირად საქმეებში. აღნიშნული ასევე დადასტურდა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებით.

4. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელად შერჩეულია შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი როგორც სამუშაო, ისე პედაგოგიური გამოცდილება. ამასთან, ***პროგრამის ხელმძღვანელი თავად არის CISCO-ს საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი.***

დაწესებულებაში არსებული წესით, პროგრამის ხელმძღვანელს, როტაციის პრინციპით, ერთი წლის ვადით ნიშნავს კოლეჯის დირექტორი. პროგრამის ხელმძღვანელად ერთი და იგივე პირი შეიძლება დაინიშნოს ორჯერ. პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 მაისის №53 ბრძანებით „სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებად პროფესიული განათლების მასწავლებლების დანიშვნის თაობაზე“. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის როგორც პროგრამის განვითარება-ადმინისტრირებისა და ცვლილებების ინიცირების საკითხები, ასევე პრაქტიკის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების ორგანიზება და პარტნიორებთან კომუნიკაცია, შეფასების ინსტრუმენტებისა და სასწავლო გეგმების ვერიფიკაცია-ვალიდაცია და შესრულებული სამუშაოს მენეჯმენტთან ანგარიშგება (შუალედური (ექვსთვიანი) და საბოლოო ანგარიში).

5. ონლაინ შეხვედრისას, ექსპერტების მიერ დათვალიერებული იქნა დაწესებულების ბიბლიოთეკა. განხორციელდა ინტერვიუ ბიბლიოთეკართან. კოლეჯის საბიბლიოთეკო სივრცე საშუალებას იძლევა, რომ პროფესიულმა სტუდენტმა იმუშაოს დამოუკიდებლად, მოიძიოს მისთვის საჭირო ინფორმაცია ინტერნეტით და მიიღოს ბიბლიოთეკარის კვალიფიციური მომსახურება. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე მატერიალური სახითაც და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პანდემიით გამოწვეული პროცესებიდან გამომდინარე, დაწესებულებამ უზრუნველყო სასწავლო რესურსის გაციფრულება და ერთიანი პორტალის შექმნა, რომელზე წვდომაც აქვთ როგორც პერსონალს, ისე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პროფესიულ სტუდენტებს. ამასთან დაწესებულება, პროფესიული სტუდენტის სურვილის შემთხვევაში, უზრუნველყოფს სტუდენტის პერსონალურ კომპიუტერში სასწავლო რესურსის პაკეტის ჩატვირთვას. საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზეც, ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგიც. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი განთავსებულია როგორც დაწესებულების ვებ გვერდზე. ისე თავად ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას.

6. დაწესებულებაში არსებული გარემო სრულად უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობებსა და შეთავაზებული სერვისებზე ხელმისაწვდომობას. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ფუნქციაა უზრუნველყოს როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა- ადაპტირება, ასევე ჯგუფთან ერთად, რომელშიც ჩართულები არიან დაწესებულების პროფესიული განთლების მასწავლებლი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტიდა თავად სსსმ/შშმ პირის ჩართულობით, შეიმუშავებს პირის საჭიროებებიდან გამომდინარე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. გუნდთან ერთად განისაზღვრება და ხორციელდება მოდულებისა და სასწავლო რესურსის მოდიფიცირება/აკომოდიაცია. დაწესებულება, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სსსმ/შშმ პირების შუფერხებელ წვდომას პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსთან.

კოლეჯს აქვს სსსმ და შშმ პირების სწავლების შესაბამისი პრაქტიკა, თუმცა მისი საჭიროება არ დამდგარა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის განხორციელება ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია როგორც პროგრამული, ისე ვაუჩერული დაფინანსება, რაც სრულად ფარავს პროფესიულ სტუდენტთა სწავლების ხარჯებს, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტში. ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი (მინიმუმ 10 პროფესიული სტუდენტი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი (26.06.2018 ბრძანება №58)

2. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;

3. მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

4. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები

5.დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 11 მაისის №53 ბრძანება „სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებად პროფესიული განათლების მასწავლებლების დანიშნის თაობაზე“.

6.დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 20 ივლისის №107 ბრძანება „სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთოვნების დამტკიცების თაობაზე“.

7.სსიპ კოლეჯის „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ საწარმოო პრაქტიკისა და პრაქტიკის კომპონენტის გავლის დებულება

8.პროგრამის ბიუჯეტი;

9. პერსონალთან და პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგები

10.დაწესებულების შესაბამისი რესურსების დათვალიერება და ფოტო მასალა

11.პროგრამის სასწავლო გეგმები

12.პროგრამის განხორციელების მოდელირებული ცხრილები/სასწავლო აუდიტორიების დატვირთვის სქემა

13. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

14. https://www.profgldani.ge/ ვებ გვერდის დათვალიერებით

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XIV. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. **დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების გასაუბრების განრიგი**

თარიღი 17.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: